საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

16/01/2026

MES 9 26 0000032164

გადაწყვეტილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 9 ოქტომბრის №1314042 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და პროგრამის შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 16 იანვრის სხდომის №32149 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
რეკომენდებულია, დაინერგოს პროგრამის მიზნების რეგულარული გადახედვის ფორმალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების და აკადემიური ექსპერტების სისტემატურ ჩართულობას.

რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონაცემებზე დაფუძნებული გაუმჯობესების ქმედებების ფორმალური დოკუმენტაცია და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რაც უზრუნველყოფს, რომ სწავლის შედეგების შეფასებიდან მიღებული მტკიცებულებები სისტემატურად იქნება დაკავშირებული პროგრამებში ან სასწავლო
გეგმაში განხორციელებულ ცვლილებებთან.

რეკომენდებულია, თითოეულ სილაბუსში და არა მხოლოდ შეფასების ინდივიდუალურ კომპონენტში განისაზღვროს საბოლოო გამოცდის ჩაბარებამდე კურსის დასრულების მინიმალური ზღვარი

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს შორის ზუსტი შესაბამისობა და გამჭვირვალობა, იმისათვის, რომ თითოეული მიზანი თანმიმდევრულად აისახოს სწავლის შედეგებში, განსაკუთრებით ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კომპეტენციების სწავლის შედეგებში.

რეკომენდებულია, გაიზარდოს ზოგიერთი სწავლის შედეგის სიზუსტე და გაზომვადობა, განსაკუთრებით მოქმედებაზე ორიენტირებული ზმნების და გამოყენებითი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროების პირდაპირი მითითებით, მაგალითად, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, მონაცემთა ანალიტიკა და კიბერუსაფრთხოება

რეკომენდებულია, პროგრამამ გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რათა სწავლის შედეგები სათანადოდ აისახოს პრაქტიკაში, რაც მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების ვალიდურობას გაზრდის. ასევე რეკომენდებულია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შემუშავდეს მიზნობრივი პროფესიული განვითარების გეგმები და, პარალელურად, გაღრმავდეს პარტნიორობა დარგის პრაქტიკოსებთან პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო აქტივობების განვითარების მიზნით.

რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსის სწავლის შედეგების ტაქსონომია და კლასიფიკაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული ცოდნა - გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობა - ავტონომიურობის სფეროებთან შესაბამისობა

რეკომენდებულია, გაძლიერდეს დოკუმენტაცია, რომელიც აჩვენებს სწავლის შედეგების შეფასებების პირდაპირ გავლენას პროგრამის გაუმჯობესებაზე, სასწავლო გეგმის განახლებაზე, არჩევითი საგნების შეთავაზებაზე და ხელმძღვანელობის პრაქტიკაზე.

რეკომენდებულია, ჩატარდეს მაღალი დონის კურსის სწავლის შედეგების შეფასება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო დონის აღმწერებთან შესაბამისობა, განსაკუთრებით ანალიტიკური მსჯელობის, კვლევის ავტონომიურობის და ეთიკური პასუხისმგებლობის მიმართულებით.

რეკომენდებულია, კურსის სწავლის შედეგის პასუხისმგებლობა / ავტონომიურობის სფეროში ინტეგრირებული იყოს კვლევის ეთიკა, დამოუკიდებელი მსჯელობა და პროფესიული

ანგარიშვალდებულება, ასევე პერიოდულად განახლდეს სილაბუსები, იმისათვის, რომ აისახოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლესი კვლევები, რაც
უზრუნველყოფს შესაბამისობას კვლევის მეთოდების კურსებს და ნაშრომის დონის შედეგებს შორის.

რეკომენდებულია, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს ცალკე პუნქტები სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კვლევითი აქტივობების (კონფერენციები, პუბლიკაციები, აკადემიური მივლინებები), ელექტრონული მონაცემთა ბაზების გამოწერების და სასწავლო მასალების შემუშავების მხარდასაჭერად, ვინაიდან აღნიშნული
კომპონენტების არარსებობა ან არასაკმარისი დაფინანსება აფერხებს პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო და ეროვნულ აკრედიტაციის სტანდარტებთან

რეკომენდებულია, გადაიხედოს და გაერთიანდეს იდენტური შეფასების კრიტერიუმები, იმისათვის, რომ თითოეული კრიტერიუმით ფასდებოდეს ცალკეული კომპეტენცია, რაც აღმოფხვრის ზედმეტი კრიტერიუმების გამოყენებას, გაზრდის სიცხადეს სტუდენტებისთვის და შემფასებლებისთვის და უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. გარდა ამისა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ უნდა შედიოდეს დაცვის კომიტეტის შემადგენლობაში და არ უნდა მონაწილეობდეს შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ნაშრომის შეფასების ობიექტურობას და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 27 დეკემბრიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 27 დეკემბერი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე